



ივნისი,
2024 წელი

პეიტუ დუპიძისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვს წმიდა და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკვას, გარნა განმღებულმან მან, და არავინ განაღოს დავშული იგი.“
(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთი

26 მაისი
საქართველოს
დამოუკიდებლობის
დღე !

გვერდი მე-2

**17 მაისი ოჯახის
სინდინლის
დღე !**

გვერდი მე-3

**პროფესორ-
მასწავლებელთა და
სტუდენტთა სამეცნიერო
კონფერენციები**

გვერდი მე-4-5

საღვთისმეტყველო ნაწილები
მღვდელი ვალერი ღუხანიძე:
სახალხო მკურნალი და მათი „ლოცვები“

გვერდი მე-6

ხმა ერიდან
პაატა ნაცვლიშვილი „დამლოცე, პაპრიკაძე !“

გვერდი მე-7

- ვუზიარებთ
გამოცდილებას
უნგრულ
კოლეგებს**
- საერთაშორისო
სტუდენტურ
კონფერენციაზე**
- წლიური
ნამუშევრების
გამოფენა
ხატხერის
სახელოსნოში**

გვერდი მე-8



26 მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე !



ამონარიდი თავისუფლების მოადანა
შაქრავილთა წინაშე საქართველოს პრემიერ-მინისტრ
ირაკლი კოპალაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ თითოეულ ქართველს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, რომლებიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ზეიმობთ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს.

106 წლის წინათ, 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ რესპუბლიკას, რომელმაც, მართალია, მხოლოდ 3 წელიწადი იარსება, მაგრამ დემოკრატიული მმართველობის უძვირფასესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

70-წლიანი საბჭოთა მმართველობის დასასრულს, 1990 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო 1991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მას შემდეგ, საქართველო გადის ერთგვარ მოსეს გზას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, „აღთქმულ მიწამდე“ აუცილებლად მიგვიყვანს“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნაინდისი და უნატარისი ილია II-ის მიმართვა მრევლისადმი

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმანო და დანო, ჩვენი სულიერო შვილებო, ქრისტე აღდგა!

გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომის განახლების, კვირაცხოვლობის დიდებულ დღესასწაულს; ხსენებას წმინდა თომა მოციქულისა, საქართველოში ქრისტეს პირველი მქადაგებლის, წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულისა და ქრისტეს რწმენისთვის ლაზეთში მოწყვეტილ 300 მოწამეთა; ასევე, ღვთისმშობლის წილხვდომილობის ზეიმს!

დღევანდელი დღე გამორჩეულია და ამიტომაც მინდა გთხოვოთ, რომ სწორედ დღეიდან კიდევ უფრო გავაძლიეროთ ლოცვა საქართველოსთვის.

ამჟამად ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების ერთ-ერთ რთულ მონაკვეთს გადის. მშვიდობა ყველას გვინდა, მაგრამ მისი მიღწევა ხშირად გვიჭირს, რადგან არ ვიქცევით სწორად, არ მივმართავთ და არ ვსასოებთ მას, ვინც არის სათავე და წყარო მშვიდობისა – ყოვლადწმიდა სამება.

მინდა შეგახსენოთ ჭეშმარიტი ღვთის სადიდებელი ლოცვა სამი ახალგაზრდისა – ანანია, აზარია და მისაელისა, რომლებიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა დასჯის მიზნით ისეთ გავარვარებულ ლუმელში ჩაყარა, რომ მის ახლოს მყოფი ადამიანებიც ცეცხლის ალისგან დაიწვნენ, ისინი კი სრულიად უვნებელნი დარჩნენ, რადგან უფლის ანგელოზი იყო მათთან და ცეცხლის მხურვალეობამ ვერაფერი დააკლო.

შევთხოვოთ ყოვლისშემძლე და ყოვლადძლიერ ღმერთს, რომ როგორც ანანია, აზარია და მისაელი გადაარჩინა მან უდიდეს განსაცდელს, საქართველოც გადაარჩინოს და მშვიდობითა და ერთობით გვაკურთხოს.

ლოცვის ტექსტი:

„კურთხეული ხარ, უფალო, ჩვენი მამა-პაპის ღმერთო, ქებული და დიდებული ხარ უკუნისამდე; კურთხეულია შენი დიდების სახელი, წმინდა, ქებული და განდიდებულია უკუნისამდე!

კურთხეული ხარ შენ დიდების წმინდა ტაძარში; ქებული და დიდებული ხარ უკუნისამდე!

კურთხეული ხარ შენ, უფსკრულთა მხილველი, ქერუბიმებზე მჯდომარე, ქებული და დიდებული ხარ უკუნისამდე!

კურთხეული ხარ შენს სამეფო ტახტზე, ქებული და დიდებული ხარ უკუნისამდე!

კურთხეული ხარ ცის მყარზე, ქებული და დიდებული ხარ უკუნისამდე!

აკურთხეთ უფლის ყოველი საქმე, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, უფლის ანგელოზნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, ცანო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

ადიდეთ, წყალნო ცის ზემოთ, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, უფლის ძალნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, მზეო და მთვარეო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ცის ვარსკვლავნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ყოველი წვიმა და ცვარ-ნამო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ყოველნო ქარნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ცეცხლო და სიცხე, უფალი, უგა-

ლობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ყინვა და ხვატო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ცვარ-ნამო და ღრუბელნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ყინვა და სიცივე, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, თრთვილნო და თოვლნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, დღე და ღამე, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ნათელი და ბნელი, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ელვა და ღრუბელნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, დედამიწა უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, მთანო და ბორცვნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, უფალი, ყოველნო მცენარენო დედამიწაზე, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ წყაროსთვალნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ზღვანო და მდინარენო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ უფალი, ვეშაპნო და წყალში მცურავნო, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ცის ყოველნო ფრინველნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ოთხფეხნო და მინის ყოველნო მხეცნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ადამის ძენო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, ისრაელ, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, მღვდელნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, უფლის მორჩილნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, მართალთა სულნო და სამშვინველნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ, წმინდანო და გულით გლახაკნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე!

აკურთხეთ უფალი, ანანია, აზარია და მისაელ, უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე, რადგან მან გამოგვიყვანა ჯოჯოხეთიდან, მან გვისხსნა სიკვდილის ხელიდან, გამოგვტაცა გავარვარებული ღუმლის ნიაღს, დაგვისხსნა შუაგულ ცეცხლიდან!

აქეთ უფალი, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

უფლის თაყვანისმცემელნო, აკურთხეთ ღმერთთა ღმერთი, უგალობეთ და აქეთ იგი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!”

(დან. 3,52-90).

ყოველდღე თქვით ეს სადიდებელი და შეავედრეთ უფალს ჩვენი ქვეყანა.

„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!”



12 მაისი, 2024 წელი



17 მაისს სრულიად საქართველოში აღნიშნა ოჯახის სინამდისა და მშობლების პატივისცემის დღე



უკვე მეთერთმეტე წელია, 17 მაისი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან დღედ ჩაინერა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ინიციატივით 17 მაისს დაწესდა ოჯახის სინამდისა და მშობლების პატივისცემის დღე. მისივე სურვილის შესაბამისად, ოჯახის სინამდის დღესთან დაკავშირებით ტრადიციულად ეწყობა ერთკვირიანი მსვლელობა – საქართველოსა და თურქეთის სასაზღვრო ქალაქებიდან და უკვე 17 მაისს უერთდება თბილისში შეკრებილ საზოგადოებას.

წელს 11 მაისს სამღვდლოებამ, წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ განვლილი გზის მსგავსად, აწყურის ღვთისმშობლის ხატით დაიწყო ლოცვითი მსვლელობა და მისი მონაწილენი 17 მაისს თბილისში შეუერთდნენ ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიასთან შეკრებილ საზოგადოებას.

ტაძართან შეკრებილებს ეს დღე მიულოცა საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელით სულიერი გამხმევებისა და სიმტკიცისაკენ მოუწოდა. მიტროპოლიტმა შიომ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ოჯახის მნიშვნელობას, როგორც ქვეყნის მთლიანობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ გარემოებას: „ღმერთმა ადამიანს თავიდანვე ერთობისა და ოჯახური ყოფისაკენ მოუწოდა. ამდენად, ოჯახი არის ყოფიერების ის ფორმა, რომელიც ღვთის მიერ განისაზღვრა და ამიტომაც იწოდება იგი სინამდედ“ –

მისივე თქმით, ოჯახი უარსებითესა საზოგადოების ჩამოყალიბებაში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სიმტკიცე ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში არსებულ დაძაბულობაზე. როდესაც ხდება დაპირისპირება, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მხარე რას ამტკიცებს, არამედ მთავარია, რომ მხარეთა შორის სიძულვილმა არ დაივანოს, რაც ქვეყნისთვის, როგორც ერთი დიდი ოჯახისთვის, რა თქმა უნდა, ზიანის მომტანი იქნება. ამგვარი დაპირისპირების

ადამიანების შეკრება და მათი ნების გაერთიანება; მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი ადამიანებში ერთსულოვნების შესანიშნავი განწყობის წარმოქმნა. რადგან როდესაც არის სიყვარული, სწორედ მაშინ მოქმედებს საღვთო მადლი და ნებისმიერი უთანხმოების დაძლევა მშვიდობიანად არის შესაძლებელი. მაგრამ როდესაც არ არის სიყვარული, მაშინ აღარც ღვთის შენევნა და უმნიშვნელო მიზეზმაც კი, შესაძლოა, დაპირისპირება და მტრობა გამოიწვიოს. ამიტომაც აქვს სიყვარულს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რისი შესწავლა და თავდაპირველი გამოვ-



იერებისა და გახლეჩილობის აღმომფხვრელი მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულია. სწორედ ამას გვასწავლიან ეკლესიის წმინდა მოძღვრები. აი, რას ამბობს მიტროპოლიტი შიომ: „ერთ-ერთი უდიდესი მოძღვარი – ღმერთი მაქსიმე აღმსარებელი ამბობს, რომ მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი გაყოფილი და დაპირისპირებული

ლინებაც სწორედ ოჯახში ხდება; აქ უნდა იწრთობოდეს პიროვნება სიყვარულის გზით, რაც არის ჩვენი სულის გადარჩენის უმთავრესი პირობა“.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, – აღნიშნა მიმართვის დასასრულს მიტროპოლიტმა შიომ, – განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს საზოგადოებამ ოჯახური ღირებულებებისა და სინამდის დასაცავად, რაც არის კიდევ ამ დღეს შეკრებისა და ლოცვითი მსვლელობის მიზანი.

შემდეგ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მღვდელმთავრებთან და სამღვდლოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ღვთისადმი სავედრებელი პარაკლისი აღავლინა.

ქაშვეთის ტაძრიდან ლოცვითი მსვლელობა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მიმართულებით წარიმართა, სადაც, შეკრებილთ კვლავ სიტყვით მიმართა მიტროპოლიტმა შიომ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მხოლოდ სიყვარული და ოჯახისადმი ერთგულებაა ყოველგვარი უთანხმოების გადალახვისა და ერის გამთლიანების საწინდარი. მიუხედავად თანამედროვე გამოწვევებისა და საცდურებისა, თითოეული პიროვნება დიდი მონდომებითა და თავგანწირვით უნდა იცავდეს ოჯახის სინამდეს. მიტროპოლიტმა შიომ, ასევე, ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ოჯახური ღირებულებების დაცვა და ამ მხრივ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება უნდა იყოს.

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ სიტყვის დასასრულს აღნიშნა, რომ სიყვარულისა და მშვიდობის საფარველით შენიღბული ყოველგვარი აზრი და მცდელობა, რომელიც ღმერთის მიერ კურთხეული ოჯახური კეთილდღეობის, სინამდის რღვევისა და საბოლოო განადგურების მცდელობა იქნება, თითოეული პიროვნების მიერ უარყოფილი უნდა იყოს და მას ღვთისადმი რწმენა, ერთგულება და სასოება უნდა დაუპირისპიროს.

უამრავ ადამიანთან ერთად ოჯახის სინამდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებულ ლოცვით მსვლელობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, ქალაქ თბილისის მერი კახა კალაძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ოჯახის სინამდისა და მშობელთა პატივისცემის დღე განსაკუთრებული სიხარულით აღინიშნა, ასევე, მცხეთაში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ფოთში, თელავში, სენაკში, სამტრედიოში, ზუგდიდში, ახალციხეში, მარტვილში, ოზურგეთში, ონში, ცაგერში, დუშეთში, ზესტაფონსა და საქართველოს სხვა რაიონებსა და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაში.

ამგვარი მასშტაბურობა იყო სიმშვიდის, ურთიერთპატივისცემის, ერთგულებისა და ოჯახის სინამდის დაცვის სურვილის უდიდესი გამოხატულება.

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები

15 მაისიდან – 23 მაისამდე თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები გაიმართა.

15 მაისს, კონფერენციის პლენარული სხდომის გახსნისას, **თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზემდელაძემ** ხაზგასმით აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დაფუძნებული სასულიერო სასწავლებლის უდიდესი მნიშვნელობა ერის სულიერი ცხოვრების განმტკიცებაში:

– **დღეს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში იხსნება პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც აკადემიური პროცესისა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც, ბუნებრივია, ემსახურება, განათლებას, ცოდნას, მეცნიერებას და ჩვენი მიზანია სწორედ ისაა, რომ მეცნიერული მწვერვალებისკენ, სამეცნიერო სიღრმეებისკენ ყოველთვის გვქონდეს მოღვაწეობის სურვილი.**

გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „ჩვენ გვინდა ახალგაზრდა თაობამ იცოდეს, თუ რას განიცდის მეცნიერი, როდესაც ძალიან დიდი წვალეების და ძალისხმევების შედეგად ახალ აღმოჩენას უდებს სათავეს, როცა ახალ სიტყვას ამბობს მეცნიერებაში. სწავლის პროცესი ყოველთვის დაკავშირებულია სირთულესთან, ტკივილთან, ძალისხმევასთან, მაგრამ მისი შედეგი ძალიან ტკბილი და ამამაღლებელია ყველა ადამიანისათვის“. წმინდა დიონისე არეოპაგელი გვმოდგერავს: „ბნელი იფანტება ნათლით, და უფრო მეტად – აღმატებული ნათლით, ხოლო უმეტესება იფანტება ცოდნით, და უფრო მეტად, აღმატებული ცოდნით“.

ცოდნა და განათლება უარსებითი მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან საქართველოს სიძლიერე და სიმტკიცე სწორედ განათლებასა და მის უნიკალურ ქრისტიანულ კულტურაშია ფესვგადგმული.

გამოვხატავ თქვენ მიმართ მადლიერებას თქვენი უდიდესი მოწიწებისა და სიყვარულის გამო ჩვენი უწმიდესი პატრიარქის, ქართველი ერის სულიერი მამისადმი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, 12 მაისს, როცა აღინიშნება თომა მოციქულის ხსენების დღე, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე და ამავე დროს ღვთისმშობლისადმი ქართლის წილგდომილობის დღე, საგანგებო ღოცვა-კურთხევა მოგვცა, როგორ უნდა გაავძლიეროთ ღოცვები საქართველოსთვის. ღრმად მწამს, რომ თითოეული თქვენგანი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ ღოცვას და ღრმად მწამს, რომ არა მხოლოდ სასულიერო აკადემიის კედლებში, ეს ღოცვა თქვენს ოჯახებშიც ისმის.

საშუალება მქონდა, გავცნობოდი მოხსენებათა შინაარსს, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სასულიერო აკადემიაში, პატრიარქის ღოცვა-კურთხევით, უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები, ცნობილი მეცნიერები მოღვაწეობენ და ღრმად მწამს, რომ ქვეყნის უპირველეს საღვთისმეტყველო სასწავლებელში ყოველთვის უარსებითი იქნება მაღალ სულიერებასთან შეზავებული სიღრმისეული განათლება და მეცნიერება, სულიერებისა და მეცნიერების, რწმენისა და ცოდნის და ერთობა.

გაგებით ივნისის ნოემბრში იბეჭდება სამეცნიერო კონფერენციებზე ნაკითხული მოხსენებებით დასახელებები, მომავალში კი გაითხველები მიიღებენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ საკონფერენციო მოხსენებებთან კრებულს.

პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა სასწავლებლის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი **ხათუნა კალანდარიშვილი**, მოხსენებებით გამოვიდნენ:

ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი, დეკანოზი **ბიძინა გუნია** – „სჯული მოუძღვრდა და ურგები იქმნა სახარება...“

ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე** – „კათოლიკოს-პატრიარქებისა და სახელმწიფოს პირველი პირების ურთიერთობა 1917-1927 წლებში“.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მაია რაფაია** – „გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა გრიგოლ ოშკელისეული თარგმანები“.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლელა ხაჩიძე** – „ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან („დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობა“).

16 მაისიდან კონფერენცია გაგრძელდა სემინარიაში:

თეოლოგიის სემინარიაში სხდომაზე თავმჯდომარეობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გვანცა კობლატაძე**

მოხსენებებით წარსდგნენ:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გვანცა კობლატაძე** – „წმინდა იოანე ოქროპირი და მისი ზნეობრივი ღვთისმეტყველება“.

დეკანოზი **დავით ჭილაძე** (დოქტორანტი) – „ფსალმუნთა კითხვის წესი და მისთვის მსახურებაზე შიომღვიმის ტიპიკონის მიხედვით“.

დიაკონი **ლევან ჭანკვეტაძე** – „სწავლება ფილოსოფიურ ხმათა შესახებ“.

თეოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი **გიორგი თოდუა** – „ძველალექსიკონური წინასწარმეტყველებანი (ოს. 2.25; 2.1), როგორც სამოციქულო დამოწმებანი (რომ. 9.25-26), და მათი თეოლოგიური ანალიზი“.

თეოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი **რევაზ მუჯირიშვილი** – „საეკლესიო სწავლება იოსებ დამწინდველის ეჭვის შესახებ“.

ისტორიის სემინარიაში სხდომაზე თავმჯდომარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელდარ ბუბულაშვილი**

მოხსენებებით გამოვიდნენ:

თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ბუაძე** – „როგორ შეცვალა ქრისტიანობამ ქალების მდგომარეობა პირველ საუკუნეებში“.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელდარ ბუბულაშვილი** – „ვატიკანის არქივის უცნობი მასალები საქართველოს შესახებ“.

ისტორიის დოქტორი **ნინო თომაძე** – „ბიუროკრატიული აპარატი ბიზანტიაში“.

თეოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი **გიორგი მეტრეველი** – „აღდგომის თარიღის განსაზღვრის ისტორიისათვის“.

ქვემო ქართლი ენისა და ლიტერატურის სემინარიაში სხდომაზე თავმჯდომარეობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული**

მოხსენებებით გამოვიდნენ:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული** – „ძველი ქართულის მსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციური როლი „ვეფხისტყაოსნის“ სინტაგმატიკაში“.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ხეთისო ზარიძე** – „ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟი“.

ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან მამასახლისი** – „სამოღვაწეო წესები ათონის ივერთა მონასტრის მწიგნობრულ ტრადიციაში“.

ფილოლოგიის დოქტორი **ასმათ ჯიქია** – „ქართლში მონაზვნური ცხოვრების დასაწყისისათვის“.

ფილოლოგიის მაგისტრი **ხათუნა ნიშნიაიძე** – „დავითიანის“ შესწავლის ისტორიისათვის“.

ხელოვნებათმცოდნეობის სემინარიაში სხდომაზე თავმჯდომარეობდა სელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ქეთევან აბაშიძე**

მოხსენებებით წარსდგნენ:

დეკანოზი **იოსებ ვანიძე**, სელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ნანა ბურჭულაძე** – „უგულის მე-11-12 საუკუნის ღვთისმშობლის ხატის სახისმეტყველებისათვის“.

არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი **მედეა მელქაძე** – „XX საუკუნის ქართული სუროთმოდგენების მოწინავე როლი ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების ისტორიაში“.

სელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ქეთევან აბაშიძე** – „სოფელ კუკიად“ წოდებული ციხე-სიმაგრისა და მისი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის ისტორია“.

გეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **მურად ტყეშელაძე** – „ლურჯი ფერის ბუნებრივი მინერალები ხატწერაში“.

მღვდელი გიორგი ვაშალოშიძე – „ნათლისღების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო – სახისმეტყველებითი ასპექტები“.

თეოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი **ნუგზარ სამხარაძე** – „ისააკის მსხვერპლად შეწირვის იკონოგრაფიული გამოსახულებები ქრისტიანულ სელოვნებაში“.

საქალაქო საპატარძლო სემინარიაში სხდომაზე თავმჯდომარეობდა **დეკანოზი ლონგინოზ სუარიშვილი**

მოხსენებებით გამოვიდნენ:

ფილოსოფიის დოქტორი **რუსუდან წიქვაძე** – „ქორწინებისა და ოჯახის საკითხები იუდაიზმში“.

დეკანოზი ლონგინოზ სუარიშვილი – „სეკულარიზმის იდეა და მისი თეოლოგიური კონტექსტი“.

ირაკლი გუნიავა – „მონასტრის ქონებრივი უფლებები საქართველოში“.

ენისა და ლიტერატურის სემინარიაში სხდომაზე თავმჯდომარეობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მედეა (მარიამ) ღლონტი**

მოხსენებებით წარსდგნენ:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მედეა (მარიამ) ღლონტი** – „ქართულ ანდაზაში უკუფენილად გაცხადებული ქრისტიანული სათქმელისათვის („კარგ მთქმელს კარგი გამკნეო“ – „სამართალმა პური ჭამა“, „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო“ – „სტუმარი ღვთისაა“...).

ფილოლოგიის დოქტორი **ხათუნა კალანდარიშვილი** – „ადამიანის დანიშნულების ქრისტიანული კონცეფცია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“.

ფილოლოგიის დოქტორი **თამაზ ფარულავა** – „ლიტერატურული დიალოგისათვის (XII და XX საუკუნეები)“.



ფილოლოგიის დოქტორი **მარინე მამულაშვილი-ბოტკოველი** – „სახარების ქალთა სახეების ლიტერატურული ტრანსფორმაცია ჯიბრან ხალილ ჯიბრანის შემოქმედებაში“ („იესო, ძე კაცისა“, „წინასწარმეტყველი“).

ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო სფეროში სოციალური მეცნიერებების დოქტორი **ირმა ხურცია** მოხსენებებით გამოვიდნენ:

ფილოლოგიის დოქტორი **ჯუღელიტა შოშიაშვილი** – „მოძრაობის კატეგორია დიონისე არეოპაგელის თხზულებებში“.

ფილოსოფიის დოქტორი **ელენე შუბლაძე** – „კათარზისის გაგებისათვის ანტიკურ ფილოსოფიაში“.

სოციალური მეცნიერებების დოქტორი **ირმა ხურცია** – „ქცევის ახსნა სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მიმდინარეობაში“.

ფსიქოლოგიის მაგისტრი **გვანტა გუგუშაშვილი** – „ემოციების როლი ფსიქოსომატური დაავადებების განვითარებაში“.

21 მაისს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სessიას თავმჯდომარეობდა სასულიერო პირი **პაპაშვილი მუჟაჟიშვილი** სტუდენტმა **დიმიტრი ჯაფარიძე**.

მოხსენებებით გამოვიდნენ:

გიორგი დონდუაშვილი (სასულიერო სემინარია, II კურსი) – „იესო ქრისტე და მრუშობაში მხილებული დედაკაცი (ინ. 8.1-11) საეკლესიო ეგზეგეტიკაში“ (ხელმძღვანელი – ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, **დეკანოზი გიორგი გუგუშვილი**).

თომა ჯინჭარაძე (სასულიერო აკადემია, I კურსი) – „წმინდა იოსებ დამწერის ოჯახი წმინდა წერილსა და წმინდა გარდამოცემაში“ (ხელმძღვანელი თეოლოგიის მაგისტრი **გიორგი თოდუა**).

დიმიტრი ჯაფარიძე (სასულიერო აკადემია, II კურსი) – „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული ჰიმნოგრაფიული ტექსტების მიხედვით“ (ხელმძღვანელი ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, გელათის აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, **დეკანოზი ბიძინა გუნია**).

თეოლოგიის სამეცნიერო სფეროში თავმჯდომარეობდა სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი **დავით ესეხუა**

მოხსენებებით წარსდგნენ:

სართანია ლევან (სასულიერო სემინარია, I კურსი) – „ძველადღესწავლულ მცნებათა სულიერი განმარტებანი მათე 5.17-ის მიხედვით“ (ხელმძღვანელი ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, **დეკანოზი გიორგი გუგუშვილი**).

სალიაშვილი ლევან (სასულიერო სემინარია, I კურსი) – „წმინდა იოანე ნათლისმცემლის დამოწმებანი იესო ქრისტეზე და მათი თეოლოგიური ანალიზი“ (ხელმძღვანელი ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, **დეკანოზი გიორგი გუგუშვილი**).

ესეხუა დავით (სასულიერო სემინარია, II კურსი) – „მოწყალების გაღების არამართებული წესი და საღვთო განაჩენი“ (საქ. 5.1-11-ის თეოლოგიური ანალიზი) (ხელმძღვანელი თეოლოგიის მაგისტრი **გიორგი თოდუა**).

გუგუშვილი დემეტრე (სასულიერო სემინარია, III კურსი) – „კატეხიზაციის ისტორიული გზა პირველ ქრისტიანულ ეკლესიაში“ (ხელმძღვანელი თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, **არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი**).

ისტორიის სამეცნიერო სფეროში თავმჯდომარეობდა სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი **ნიკოლოზ გერგედავა**

მოხსენებებით წარსდგნენ:

ბაჩანა აბურჯანია (სასულიერო სემინარია, II კურსი) – „მიხეილ თამარაშვილი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრობლემები XV-XVII საუკუნეებში“ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფ. **სერგო ვარდოსანიძე**).

თამაზ ჩუბინიძე (სასულიერო სემინარია, II კურსი) – „XX საუკუნის 20-



30-იან წლებში რეპრესირებული სასულიერო პირები“ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**).

ნიკოლოზ გერგედავა (სასულიერო სემინარია, II კურსი) „წმინდა ამბროსი ალმასარებლის (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) სასამართლო პროცესი“ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**).

აბელ ბოგვერაძე (სასულიერო სემინარია, II კურსი) – „გელათის მე-3 საეკლესიო კრება“ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**).

ქასმინ ლომიძე (ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, III კურსი) – „ქეთევან დედოფლის წამების საკითხისათვის“ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელდარ ბუბულაშვილი**).

კველი ქართული ლიტერატურის სამეცნიერო სფეროში თავმჯდომარეობდა სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი **დავით კარელიძე**

მოხსენებებით წარსდგნენ:

დავით კარელიძე (სასულიერო სემინარია, II კურსი) – „სწავლება მარხვისა და ღოცვის შესახებ წმინდა იოანე ბოლნელის ზოგიერთი პოეტიკის მიხედვით“ (ხელმძღვანელი თეოლოგიის მაგისტრი **გიორგი თოდუა**).

მირანდა ჭიბერაშვილი (ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, I კურსი) – „წმინდა გრიგოლ ხანცთელის სულიერი მისია“ (ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან მამასახლისი**).

ბესო ხვედელიძე (სასულიერო სემინარია, I კურსი) – „დემეტრე-დამიანეს საგალობლები“ (ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლელა ხაჩიძე**).

კახა ბერაბულიძე (სასულიერო სემინარია, I კურსი) „მიქაელ მოდრეკილის „დასდებულნი აღდგომისანი“ (ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლელა ხაჩიძე**).

მღვდელი ემანუელ კეკელია (სასულიერო სემინარია, I კურსი) – „იოანე მინჩის ბზობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საგალობლები“ (ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლელა ხაჩიძე**).

საბა წოწორია (ხატწერა-რესტავრაციის ფაკულტეტი, III კურსი) – „წმინდა აბო თბილელის წამების სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალები“ (ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან მამასახლისი**).



საღვთისმეტყველო წერილები

ვალერი დუხანიანი: სახალხო მკურნალნი და მათი „ლოცვები“

არსებობს სახალხო მკურნალთა განსაკუთრებული კასტა, რომლებიც თავიანთ პრაქტიკაში საეკლესიო ატრიბუტიკას, ქრისტიანულ სიმბოლიკას და მართლმადიდებლური „ლოცვანიდან“ აღმოკითხულ ლოცვებს იყენებენ. ცნობილია, რომ პრაქტიკოს ოკულტისტებს ღმერთთან ურთიერთობა არ ინტერესებთ, მათ ამოძრავებთ ანგარება, რომელიც სწორად შესრულებული მაგიური ქმედებებით იკვებება. თუმცა, მათ თუ შეეკითხებით, ისინი გეტყვიან თქვენ, რომ არავითარ ანგარებას ადგილი არა აქვს და რომ მხოლოდ ღმერთს მიმართავენ მკურნალობისას. მართლაც გულუბრყვილო კლიენტის მზერის წინაშე წარმოჩინდება არა შელოცვები მაგიური წიგნებიდან და საშიში რიტუალები, არამედ ჯვარი და სახარება.

ეს მოვლენა ადრე უფრო მეტად სოფლებში იყო გავრცელებული, ახლა კი ინტერნეტის და რეკლამების საშუალებით თითქმის საყოველთაო გახდა. თუ ჯადოქრებს ხალხი ინტუიციურად მაინც გაურბის, ასეთი მკურნალები ნდობას უნერგავენ ქრისტიანული სიმბოლიკით, რაც სულისთვის უფრო ახლობელი და მშობლიურია.

რას წარმოადგენს ეს ფენომენი? თითქოს ისე ჩანს, რომ მკურნალობის ამგვარ სახეობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო მართლმადიდებლურ სწავლებასთან. მაგრამ გავიხსენოთ ანდაზა: „ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრწყინავს“. თუ ვინმე თავის თავზე ამბობს, რომ: „მე ლოცვით ვკურნავ“, ამას უკვე სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ (რა თქმა უნდა ასეთ მკურნალს შეუძლია არც თქვას ეს ფრაზა და ისე წარმოგვიდგეს მკურნალის როლში, რომელიც მართლმადიდებლურ „ლოცვანს“ იყენებს).

მკაცრად რომ ვთქვათ, კურნება არ აღესრულება უბრალოდ ლოცვის წაკითხვით. ნამდვილი ლოცვისას ხომ ჩვენ ღმერთს ვევედრებით, რომ მოიღოს მოწყალება, და ღმერთზეა დამოკიდებული განკურნავს თუ არა მას, ვისთვისაც ვლოცულობთ. უფალი თუ ჩვენთვის სასარგებლოდ, შეგვისრულებს თხოვნას, ხოლო თუ არა, თავიც რომ ვურტყათ იატაკს მაინც არ შეგვისრულდება. ლოცვა არა მანიპულაციის საშუალებაა სხვა ადამიანზე, არამედ მდაბალი თხოვნა, რომელიც პირველ ადგილზე ღმერთის ნებას აყენებს და არა ჩვენს ამაყ ნებასურვილს. ამიტომ ტაძარში მსახურებისას ასე ვლოცულობთ კვერქის ბოლოს: „თავნი თვისნი და ურთიერთარს და ყოველი ცხოვრება ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევედროთ“. ამგვარად არ შეიძლება უბრალოდ ლოცვების ამოკითხვით შეცვალო სხვა ადამიანის ფიზიოლოგია. ლოცვის წაკითხვა ჯერ კიდევ გარანტია არ არის, რომ რასაც ვითხოვთ შეგვისრულდება. ამასთან ერთად არ შეიძლება უარყოფითი ხილული ეფექტი, რომელიც ამგვარ მკურნალებთან (ისევე, როგორც ჩვეულებრივ ჯადოქრებთან) ურთიერთობას გააჩნია. ერთხელ ასეთი მაგალითი მომიყვანეს. ერთი ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სოფელში ცხოვრობდა, ძნელად განსაკურნი პარაზიტით დასნეულდა; და როცა კრიტიკულ მდგომარეობამდე მივიდა, თავის სოფელში მცხოვრებ ერთ ასეთ მკურნალს მიმართა. მოხუცმა ქალმა ასეთი წესი დაუდგინა:

გამთენიისას გამოდიოდა მასთან ერთად გარკვეულ ადგილას და „ღვთისმშობელი ქალწულოს“ ლოცვას იმეორებდა დადგენილი რაოდენობით – და ავადმყოფობამ გაიარა. ძნელია, როცა არ ვიცნობთ ამ ადამიანებს, განესაჯოთ თუ რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ლოცვით ვედრებასთან, რომელიც ღვთის მოწყალე მოხედვით დაგვირგვინდა, თუ ლოცვითი წესით შენობულ ექსტრასენსორიკასთან, რადგან გარეგანი მსგავსების მიუხედავად, განსხვავება მათ შორის დიდია.

აქ მნიშვნელოვანია შევძლოთ სხვაობის დანახვა. ერთია, როცა მოყვასის საშიში სნეულებისას მართლმადიდებელი ქრისტიანები ერთად იკრიბებიან, რომ მისთვის ილოცონ ან ყველა თავისთვის ლოცულობს. „ულოცვედით ერთი-ერთსა, რაითა განიკურნეთ“ (იაკ. 5,16).

ასევე ტაძარში აღესრულება ჯანმრთელობისთვის სავედრებელი პარაკლისები, სრულდება ზეთისკურთხევის საიდუმლო, რომლის მეშვეობითაც მრავალი მძიმე სნეული იკურნება. აქ ყველაფერი გასაგებია. ჩვენ ვევედრებით ღმერთს და თუ ეს ღვთის ნებას არ ეწინააღმდეგება, უფალი განკურნავს სნეულს ან შეუმსუბუქებს მდგომარეობას. „და ილოცა აბრაამ ღმერთისა მიმართ, და განკურნა ღმერთმან აბიმელექ და ცოლი მისი და მხევალნი მისნი და შობდეს“ (დაბ. 20,17) – მოყვანილია წმინდა წერილში ამგვარი ლოცვის მაგალითი. და თუმცა წმინდა ადამიანმა ილოცა ამ შემთხვევაში, არ არის საჭირო ზედმეტად ჩაძიება იმაში თუ ვინ არის ასეთი წმინდანი, ვინც ჩვენთვის ილოცებს. თუ ხმებს ავყევით, შეიძლება შარლატანს გადავეყაროთ, ან ფსიქიურად ავადმყოფს, ან ხიბლში მყოფს. ღმერთი მხოლოდ ზოგიერთ მოღვაწეს, ისიც ხანგრძლივი ღვაწლის შემდეგ აკურთხებს საზოგადო მსახურებაზე. ამიტომ უმჯობესია მღვდელს მივმართოთ, რადგან ლოცვა მის მსახურებას შეადგენს, ასევე ახლობელ ადამიანს, რომელსაც ჩვენ ვუყვარვართ და გულწრფელად ილოცებს ჩვენი ჯანმრთელობისთვის. „და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი“ (იაკ. 5,15).

სხვა საქმეა, როცა ადამიანი თავის თითქოსდა განსაკუთრებულობას გამოხატავს – „მე ლოცვით ვკურნავ“, ხოლო საეკლესიო „ლოცვანი“ გამოიყენება, როგორც ერთგვარი საიდუმლო საშუალება. დაუფშავთ ასეთ ადამიანთან მივიდა სნეული თავის ტკივილით, ის კი ეუბნება: „არა უშავს ახლა ლოცვებს წავიკითხავ, ხელს დაგადებ და გაგივლის ტკივილი“. ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანს აქვს იგივე ოკულტური უნარი სხვა ადამიანზე ზემოქმედების, ოღონდ არა ექსტრასენსორული პასების ან ჯადოქრული შელოცვების დახმარებით, არამედ გარეგნულად საეკლესიო ლოცვების გამოყენებით. გარკვეული ლოცვითი წესი აღიქმება, როგორც ფორმულა, რომელიც ამ შემთხვევაში ეხმარება, თუ სნეული თავის თავს ანდობს ამ მკურნალს. სწორედ ამ შემთხვევაში უპრიანია დავით მეფსალმუნის სიტყვები: „ლოცვაი მისი ცოდვად შეერაცხენ მას“ (ფს. 108,7) – ან თავად უფლის სიტყვები, ესაია წინასწარმეტყველის მიერ თქმულნი: – რაჟამს განიპყრნეთ ხელნი თქუენნი ჩემდამო, გარე მივაქციო პირი ჩემი თქუენგან; და ნუ განამრავლნეთ ვედრებანი თქუენნი, არა ვისმინო თქუენნი (ეს. 1,15). კურნების

ეფექტს კი ადგილი აქვს არა ჯადოქრული რიტუალებისა და შელოცვების გამო, არამედ იმის გამო, რომ ექსტრასენსორულად განსაკუთრებულად მომართული მკურნალი მოხერხებულად იყენებს ლოცვის ტექსტუალურ წყობას შელოცვისთვის.

ნიშანდობლივია ის საყოველთაო წესი, რომ ეკლესიისგან კურთხევა ასეთ მკურნალებს მსგავს საქმიანობაზე არასდროს გააჩნიათ (თუმცა ზოგჯერ ისინი ირწმუნებიან, რომ ის მათ აქვთ). ისინი არ გამოირჩევიან ეკლესიური ცხოვრებით, განსაკუთრებით კი არ ამბობენ აღსარებას და არ ეზიარებიან რეგულარულად. ის რაც ნამდვილად არ გააჩნიათ ამგვარ ადამიანებს, არის ის, რომ არ ჰყავთ სულიერი მოძღვარი, რომლისგანაც რჩევა დარიგებებს მიიღებდნენ. მაცხოვარი მიმართავდა რა მოციქულებს და მათი სახით სამღვდელოებას, ამბობდა: „რომელმან თქუენი ისმინოს ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხცყუნეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოფს, შეურაცხ-ჰყოფს მომაგლინებელსა ჩემსა“ (ლუკ. 10,16). ეს ადამიანები თითქოსდა არ არიან ეკლესიის წინააღმდეგნი, საეკლესიო მაღაზიებში ნაყიდ ნივთებს იყენებენ, მაგრამ თავად როგორღაც განცალკევებულად დგანან ეკლესიისგან.

აი, როგორ აღწერს თანამედროვე მოძღვარი ამგვარ მკურნალთან შეხვედრის გამოცდილებას: „ჩემთან აღსარებაზე ქალი მოვიდა კომის რესპუბლიკიდან, რომელიც ერთი წლის წინ პირველად შევიდა მართმადიდებლურ ტაძარში და რამოდენიმე ხატი და „ლოცვანი“ შეიძინა. სახლში მისვლისას ხატები კუთხეში დაკიდა და ის იყო „ლოცვანიდან“ ლოცვები უნდა წაკითხა, რომ მოხუცებული ცოლქმარი ესტუმრა. რადგანაც მათი სოფლიდან უახლოესი ტაძარი 300 კმ-ით იყო დაშორებული, სოფლის მცხოვრებლები ტაძარში არასდროს არ იყვნენ ნამყოფნი და არც ხატების მნიშვნელობა ესმოდათ. ქალმა როგორც შეეძლო აუხსნა მათ და ლოცვის ერთად წაკითხვა შესთავაზა. მეზობლები გვერდით დადგნენ და მან სიცოცხლეში პირველად დაიწყო ლოცვის წაკითხვა. მეორე დღეს ცოლ-ქმარი კვლავ მოვიდა და თქვა, რომ ორივე ტკივილისგან განიკურნა: ქმარი – ყურის, ხოლო ცოლი – წელის.

რა თქმა უნდა უფლის კაცთმოყვარება უსაზღვროა, და როცა რომელიღაც მიყრუებულ სოფელში არაფერი სმენიათ ღმერთის შესახებ, მას შეუძლია ჩვეულებრივი დედაკაცის მეშვეობითაც დაეხმაროს ხალხს, რომ ამ სახით მოუწოდოს თავისკენ. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ შემთხვევის შემდეგ თანასოფლელები მიმართავენ არა ღმერთს, არამედ ამ ქალს, რომელსაც „მკურნალის“ სახელი გაუფარდა. მეზობლები აგზავნიდნენ მასთან თავის ნაცნობებს. მას კი აზრადაც არ მოსვლია, რომ აქ ბოროტის მზაკვრობას შეიძლება ჰქონოდა ადგილი. ამასთან მან არც იცოდა, რომ ღვთის მცნებებით უნდა ეცხოვრა. 47 წლამდე ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა და ისევე აზროვნებდა, როგორც მაშინდელი საზოგადოება. ცხადია, რომ განვლილი ცხოვრების მანძილზე მრავალი ცოდვა დაუგროვდებოდა, შესაძლოა სასიკვინიც, მაგრამ არასდროს მოუწანიებია და არც ის იცოდა, რომ აღსარება და ცოდ-

ვებთან ბრძოლა იყო საჭირო. ამან ხელი შეუწყო დემონებს, ჩაეგონებინათ მისთვის, რომ უფლის რჩეული იყო და კურნების ნიჭი მიეცა. ის, რომ ღირსი არ იყო ამისი, აზრადაც არ მოსდიოდა. თუმცა უფალმა არ დატოვა ის შეგონების გარეშე და თავისუფალი არჩევნის საშუალება დაუტოვა. ის თითქოსდა „შემთხვევით“ სწორედ იმ დროს შემოვიდა ჩვენთან ტაძარში, როცა მე აღსარების მიღების წინ ეშმაკის ასეთ ხრიკებზე ვსაუბრობდი. შემდეგ ის ჩემთან მოვიდა და მასთან დაკავშირებულ შემთხვევაზე მომითხრო, თან ცდილობდა გაერკვია ეკუთვნოდა თუ არა მასში გამოვლენილი „უნარები“ დემონურ მოვლენებს, რომლებზეც მე ვსაუბრობდი. ეს ქალი თვლიდა, რომ მისი საქმიანობის სისუფთავე გარანტირებული იყო იმით, რომ ის ლოცვის წაკითხვის გარდა არაფერს აკეთებდა. ბუნებრივია თვლიდა, რომ ღვთისგან მიეცა მოულოდნელად კურნების ნიჭი. ძნელი იყო მასთან საუბარი. ძალიან არ უნდოდა განმარტებოდა „მკურნალის“ როლს და კვლავ ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ქალად ქცეულიყო.

ღირსი იოანე კასიანე რომელი ამგვარად საუბრობს. „ვისაც სურს ბრძანებლობდეს უწმინდურ სულებზე, ან სასწაულებრივად კურნავდეს სნეულებს, ან ხალხის წინაშე საკვირველმოქმედებდეს, ის თუმცაღა მოუწოდებს ქრისტეს სახელს, მაგრამ უცხოა ქრისტესთვის, რადგან სიამაყით დაბრმავებული ვერ შეუდგება სიმდაბლის მოძღვარს“. ამგვარად ეს საკითხი ფაქტად გარჩევას მოითხოვს. ამ ქვეყანაზე, რომ ყველაფერი მკაფიოდ და ნათლად ჩანდეს, საცდური და განსაცდელი აღარ იარსებებდა, ხალხი პირდაპირ დაინახავდა მოვლენის არსს და სათანადო დასკვნებს გააკეთებდა. სამწუხაროდ ცოდვილი კაცობრიობის მთელი ისტორია მოწმობს, რომ ადამიანები ცდებიან და ის, რაც ერთი შეხედვით კარგი გონიათ, ახლოს გაცნობის შემდეგ სხვაგვარად წარმოუჩნდებათ.

როგორღაც ამ სტრიქონების ავტორი შეხვდა ადამიანს, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას ქრისტე ეცხადება და ესაუბრება. ეს ადამიანი ტრაქტორისტი იყო. ის ტაძრისთვის შანდალს ყიდულობდა სოფრინოში – როგორც თვითონ ამბობდა ქრისტეს დავალებით. „დიახ, დიახ, მან მითხრა, რომ ტაძრისთვის მეყიდა, ნამდვილად“ – ამბობდა ის. როცა დავინტერესდი, თუ როგორ მოხდა ეს, მან მიაშო, თან მწუხარედ დასძინა, რომ მღვდლებს არ სჯეროდათ მისი. „ველად მივდიოდი, მხედველობა ცუდი მაქვს, ხოლო ის (ანუ არსება, რომელიც ქრისტედ ასაღებდა თავს ვ.დ.) იცინის და მეუბნება: „რაო, სულელო ბრმაო, ვერ ხედავ?“ ამ შემთხვევაში ყველაფერი ცხადია. სად წერია სახარებაში, რომ უფალი იცინოდეს ან აბუჩად იგდებდეს ადამიანს? მიუხედავად იმისა, რომ ამ უცნაურმა უხილავმა არსებამ ტაძარში სიარული და ტაძრისთვის შესანიშნავი გაკეთება ურჩია ტრაქტორისტს. ეშმაკს შეუძლია დროებით რაიმე „კეთილს“ შეთავაზება, ამ ვერაგ არსებას ხომ შორეული გეგმები აქვს, ამქვეყნიური ცხოვრების საზღვრებს რომ სცდება.



სმა პრიდან

სმა პრიდან

დაელოცე, უწმინდესო!

ჩემი პროფესიის წყალობით, მოხდა ისე, რომ მრავალ მნიშვნელოვან მოვლენას დავსწრებივარ საქართველოსა თუ უცხოეთში, მაგრამ ყველაზე გამორჩეული, რომლის თვითმხილველიც გავხდი, საქართველოს ახალი პატრიარქის ინტრონიზაცია იყო სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში 1977 წლის 25 დეკემბერს. თუმცა ჩემი პროფესია აქ არაფერ შუაშია, საეკლესიო ცხოვრება ჩვენს მაშინდელ ჟურნალისტტიკას არ აინტერესებდა, ხოლო ინტრონიზაციაზე მამაჩემმა წამიყვანა — მისთვის საპატრიარქოდან გამოეგზავნათ მოსაწვევი. 25 წლისა ვიყავი და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იმდღევანდელმა საზეიმო მსახურებამაც და იმავე საღამოს თბილისის კინოს სახლში გამართულმა საღმრთო სასაუნაშო პურობამაც, რომელსაც საქართველოს მთელი ზეპური საზოგადოება ესწრებოდა პარტიული ელიტის გამოკლებით. მე განსაკუთრებით ბედნიერი ვიყავი ამ ყველაფრით, რადგან საქართველოს ახალ პატრიარქთან უკვე რამდენიმეწლიანი პირადი ურთიერთობა მაქვს შენარჩუნებული, რაც დიდად მეძვირფასებოდა.

სტუდენტი ვიყავი, უწმინდესი პატრიარქი რომ გავიცანი. მაშინ იგი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი და მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი ბრძანდებოდა. მამაჩემთან მოვიდა სახელოსნოში, ანაგის ქუჩაზე, წმინდა ნინოს ჰორელიეფის თიხის მოდელის

სანახავად. წმინდა ნინოს პორტრეტს მამა სწორედ მეუფე ილიას შეკვეთით აკეთებდა სამთავროს მონასტრის გალავნისათვის. მერე, უკვე ქვაში გადატანილი, კიდეც ჩააშენეს იგი სამთავროს გალავანს, დღეს კი საქართველოს საპატრიარქოს სადარბაზო შესასვლელის ფრონტონს ამშვენებს. მეუფე ილია იმ დღეს თეთრებში იყო შემოსილი და თეთრ ფონზე დაფენილი შავი წვერი კიდეც უფრო უსვამდა ხაზს მის გამორჩეულ გარეგნობას. იმის მიუხედავად, რომ პირველი შეხედვისთანავე მოვინუსხე მისით, მე მაშინ ჩვეულებრივი საბჭოთა ახალგაზრდა ვიყავი და ხელზე არ მიკოცნია, მან კი თავზე ხელი დამადო და ასე მგონია, ეს ბიჭი ეკლესიას დარჩება, მამაჩემს უთხრა. არ ვიცი, რატომ თქვა ეს სიტყვები მეუფე ილიამ, ის კი ვიცი, რომ სამოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა სერიოზულად დავინაწილე ფიქრი საბჭოთა სინამდვილიდან თავის დაღწევის გზებზე, შინაგან ემიგრაციასთან და მეზღვაურობასთან ერთად ეკლესიაში წასვლასაც განვიხილავდი. რამდენიმე მხრიდან მოვსინჯე კიდეც ნიადაგი საკმაოდ სერიოზული გადწყვეტილებით, მაგრამ ბოლოს მაინც შორეულ ნაოსნობაში მატროსად წასვლა გადაწყვიტე.

თუმცა მას მერე მუდამ მახსოვდა უწმინდესის ის სიტყვები. დღესაც მახსოვს. ჩემი მონივნება ეკლესიისადმი სწორედ იმ დღიდან იღებს სათავეს.

არაერთხელ შევხვედრივარ უწმინდესს დღესასწაულებსა თუ დღეგრეულებში, არაერთხელ დავულოცნივარ, არაერთხელ აღვფრთოვანებულვარ მისი მადლმოსილებით, მისი სიმშვიდით, მისი ალბობითა და მახსოვრობის არაჩვეულებრივი ნიჭით. არ ყოფილა შემთხვევა, ვერ ვეცნე. თუ სამუალებზე ჰქონია, მუდამ გამომლაპარაკებია, მუდამ მოუკითხავს მამაჩემი, ჩვენი ოჯახი. შორეულ მოგზაურობებში წასვლის წინ მუდამ ვცდილობდი და ვცდილობ მისი ლოცვა-კურთხევის მიღებას, მუდამ ვცდილობ, დავესწრო მის წირვასა თუ ქადაგებას. თვალისჩინივით ვუფროთხილდები მის ნაჩუქარ წიგნებსა თუ სამაჯურს.

როგორც ალბათ ყველა მართლმადიდებელი ქართველი, მუდამ ვგრძნობდი და მუდამ ვგრძნობ უწმინდესის განსაკუთრებულ ყურადღებას და მამობრივ მზრუნველობას ჩემს მიმართ. გაცნობის დღიდან მოყოლებული, ვცდილობ, ყოველ ჩემს ნაბიჯს, ყოველ ჩემს საქციელს მისი თვალთ შევხედო. რას იტყვის ამაზე უწმინდესი? როგორ მომიწონებს?

ახლაც, ამ ყველაფერს რომ ვწერ, ამასვე ვფიქრობ: რას იტყვის ამ ჩემს ნაწერზე უწმინდესი? როგორ მო-



მიწონებს? ან რა არის მოსაწონი ამ ოპუსში? მე ვერ შევძელი, თუნდაც მეტ-ნაკლები სისრულით მეთქვა, თუ რას წარმოადგენდა და რას წარმოადგენს უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი ჩემთვის, ჩემი მშობლებისათვის თუ დედამამშვილებსთვის, ჩემი ოჯახისათვის, ჩემი საქართველოსთვის, ყველა ქრისტიანი ქართველისთვის მთელ მსოფლიოში.

მე ვერ მოვძებნე შესაფერისი სიტყვები, ბოლომდე ვერ გამოვხატე ჩემი გულისთქმა!

შენდობას ვითხოვ.

დამლოცე, უწმინდესო!

ააბა ნაცვლიშვილი



► მამაჩემი გვარდიდან

ახლა ჩვენს მიერ განსახილველ საკითხს სხვა მხრიდან შევხედოთ. მრავალი ადამიანი ვერ არჩევს თავის ცხოვრებაში მთავარს და მეორე ხარისხიანს. რადგან პირველ ადგილზე მათთვის ფიზიკური ჯანმრთელობა, მატერიალური კეთილდღეობა და ოჯახური ბედნიერებაა, ამიტომ მთელი ძალისხმევა აქედან არის მიმართული. ტაძარში მოარულნიც კი ბევრი ასე ფიქრობს. გასაგებია, რომ ცხოვრებასთან ასეთი დამოკიდებულების შემთხვევაში მათთვის ეკლესიასთან კურნების ახლომდგომი საშუალება განიხილება როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ადამიანთა უმრავლესობის ცნობიერება გამოირიცხავს, რომ გამოჯანმრთელება შეიძლება მოხდეს უკეთური ადამიანის მიერ. რადგან ავადმყოფობა უკან იხევს, მკურნალი კი ლოცვებით და ქრისტიანული სიმბოლიკით მოქმედებს, ე.ი. უსათუოდ ღვთისგანაა. ასეთ შემთხვევებზე ღირსი იოანე კასიანე რომელი „ღვთაებრივი ნიჭების შესახებ“ საუბარში ამბობს: „ადამიანს, ამკარად მანკიერი ცხოვრებით მცხოვრებს შეუძლია ზოგჯერ საკვირველი ქმედებანი აღასრულოს და ის წმიდანი და ღვთის მონა ეგონოთ... თავად ის კი, ვინც დარწმუნებულია თავის თავში, რომ კურნების ნიჭს ფლობს, გულის საიამაყით გამედიდურებული, განიცდის უმძიმეს დაცემას. აქედან მომდინარეობს ის, რომ დემონები ხმა-მალა სახელებით მიმართავენ მათ, ვისაც

სინმიდის არანაირი თვისება და სულიერი ცხოვრების არავითარი ნაყოფი არ გააჩნიათ, ისე აჩვენებენ, თითქოს მათი სინმიდე წევს მათ და ისინი იძულებულნი არიან გაიქცნენ მათგან შეპყრობილთაგან“.

თუმცა თავად ოკულტისტებს უყვართ სახარების ცნობილი ადგილის მოყვანა, სადაც მოციქულები მიმართავენ უფალს: „მოძლუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შეგვიდგს, და ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემიდგს ჩუენ. ხოლო თავადმან ჰრქუა: „ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან ჰქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და ხელენიფოს ბოროტის სიტყუად ჩემდა“ (მარკ. 9, 38-40). ამ ციტატის მოხმობით ოკულტისტები თვითონ ებმებიან მახეში, რადგან განცხადებულია მოწმობენ, რომ არ იმყოფებიან ეკლესიის წიაღში, თუმცა თითქოსდა არ ეწინააღმდეგებიან მას.

სახარების ცნობილი კომენტატორი ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ასე განმარტავს ციტირებულ ტექსტს: „სახარების ქადაგების დასაწყისში ხდებოდა ისეც, რომ ზოგიერთებს, დიდებისმოყვარეობის ვნებით აღძრულთ, სურდათ სასწაულები მოემოქმედებინათ, მაგრამ ხედავდნენ რა, თუ როგორი ძალა ჰქონდა იესუს სახელს, ისინი მოუწოდებდნენ მას და ამგვარად იქმოდნენ სასწაულებს, თუმცადა უცხონი და უღირსნი იყვნენ უფლის ღმრთაებრივი მადლისა. ვინაიდან უფალს სურდა, რათა მოძღვრება გავრცელებუ-

ლიყო უღირსთა მიერაც“. სულთმოფენობამდე ქრისტეს სახელის ხსენებაც კი უკვე სასწაულებს ახდენდა. ასე იყო თავიდან (სასწაულები ხდებოდა „დიდებისმოყვარეობის ვნებით აღძრულთა“ მიერაც), ვიდრე მოციქულთა კრებულზე სული წმიდა არ გარდამოვიდა და მით დაარსდა წმიდა ეკლესია, და მიიღო უფრო მნიშვნელოვანი სასწაულების აღსრულების ძალა და მადლი.

როცა ეკლესია ძლევამოსილად ავრცელდება სახარებისეულ მოძღვრებას ქვეყანაზე, ჩვენ სხვაგვარ მდგომარეობას ვხედავთ. საქმე მოციქულთას წიგნში ვკითხულობთ: „ინწყეს ვიეთმე მიმომავალთა ჰურიათა, მაფუცებელთა, სახელის-დებად უფლისა იესუსისა მათ ზედა, რომელთა თანა იყო სული უკეთურები და იტყოდეს: „გაფუცებთ თქუენ იესუს, რომელსა პავლე ქადაგებს. იყვნეს ვინმე სკევასი მღვდელთმოდურისა ჰურიისა შვიდნი ძენი, რომელნი ამას ჰყოფდეს. მიუგო სულმან მან უკეთურმან და ჰრქუა მათ: იესუ ვიცი და პავლესთვის მეცნიერვარ, ხოლო თქუენ ვინ ხართ? და ახლდნა კაცი იგი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაი, სძლო მათ და ერეოდა, ვიდრემდე შიშუელნი და წყლულნი ივლტოდეს მიერ სახლით“ (საქმ. 19, 13-16). აქედან ჩანს, რომ ბოროტ სულებს ეშინიათ არა მათი, ვინც მხოლოდ ასხენებს უფლის სახელს, არამედ მათი, ვინც ეკლესიის წიაღშია და მის საიდუმლოებებში მონაწილეობს.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ლოცვაში მოქმედებს არა სიტყვები თავი-

სთავად, არამედ მისი ძალა, ვისაც მივმართავთ ლოცვისას. ქრისტიანი ევედრება ღმერთს და უფალი განანათლებს მას თავისი მადლით. თუ ქრისტიანს დამახინჯებული წარმოდგენა აქვს სულიერ სამყაროზე (დავუშვათ დიდი წარმოდგენა შეექმნა თავის თავზე, როგორც რაღაც სამყაროზე - როგორც უპიროვნო ენერგეტიკულ სანაყისზე), მისი ლოცვა იმავე სიტყვებით არ აღწევს ღმერთამდე და უნაყოფოა. ასეთ ადამიანთან დაცემული ანგელოზები იმყოფებიან, რომლებიც ზემოქმედებენ მასზე თავიანთი დემონური ენერგიით და კურნების იმიტაციას ახდენენ.

ამიტომ აფრთხილებს უფალი ასე მკაცრად უკანონოდ აღსრულებული სასწაულების შესახებ: „მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინასწარმეტყველებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? მას ჟამსა შინა ვჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებიანი“ (მათ. 7, 22-23). დიახ, ისინი მრავალ სასწაულს აღასრულებდნენ, მაგრამ არსი მათი მსახურების აღმოჩნდა ექსტრასენსორული და არა მადლის მქონე. მხოლოდ უფლის სიტყვებით საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ჩვენგანდეს ხსენებული ფენომენის არსს.

მომზადდა დეკანოზმა
იონან გარკალაიამ

ქონება

თქალსანიერი

უზიარებთ გამოცდილებას უნგრელ კოლეგებს

თბილისის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ უმასპინძლა უნგრელ სტუმრებს, საპინტის რელიგიური კონფერენციის საღვთისმეტყველო კოლეჯის წარმომადგენლებს, პრორექტორს, პროფესორს, მამა ანდრე გუბას, თეოლოგს, მამა ისაკ ბაანს, ხატნერის პედაგოგ კრისტინა ტორნის, რომელიც რამდენჯერმე საქართველოში ნამყოფი და მოვლილი აქვს წმინდა ადგილები.

სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორთან, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძესთან ვიზიტის შემდეგ პუდაპეშტელი სტუმრები ხატნერის, მონუმენტური და დაზგური ხატნერის რესტავრაციის და საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) ფაკულტეტზე შეხვდნენ პედაგოგებსა და სტუდენტებს.

სტუმრებს მიაწოდეს სრული ინფორმაცია ფაკულტეტის პროფილისა და სწავლების მეთოდების თაობაზე.

ბუდაპეშტის სასულიერო კოლეჯიდან მობრძანებულ სტუმრებს ფაკულტეტის დეკანმა, დეკანოზმა იოსებ ვანიძემ გააცნო სწავლების მეთოდოლოგია და კათედრის გამგეობთან ერთად, ისტორიულ შენობაში განთავსებული სასწავლებელი დაათვალიერებინა. სტუმრები დაინტერესდნენ სასწავლებლის ლაბორატორიებით და სახელოსნოებით, დააკვირდნენ სასწავლო პროცესს. მათში დიდი ინტერესი გამოიწვია ტრადიციული

ქართული ხატნერის ნიმუშებმა და ხატნერის რესტავრაციის მეთოდოლოგიამ. სტუდენტებმა საკუთარი ნამუშევრები წარმოადგინეს და გაიმართა საინტერესო დისკუსია. შეხვედრის დასასრულს ორივე მხარემ გამოთქვა შემდგომი თანამშრომლობის სურვილი.

**ფაკულტეტის სულიერი
მოდერნი,
დეკანოზი შიო გაპური**



ჩვენი სტუმრები დაინტერესდნენ იმ სამუშაო პროცესებით, რომლებსაც სასწავლებლის კედლებში ვეუფლებით. ასევე, დაათვალიერეს ხატნერის, მონუმენტური და დაზგური ხატნერის რესტავრაციის და საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის სტუდენტთა ნაშრომები.

შეხვედრისას ყურადღება გაავამახვილეთ, კედლის მხატვრობის რესტავრაციის უდიდეს როლზე ქართული კულტურის შენარჩუნებაში და გავაცანით ჩვენი სამუშაო გეგმა. პარალელურ რეჟიმში გვექონდა შესაძლებლობა, გვეჩვენებინა, როგორ ხდება თაბა-

შირის დახმარებით ფრესკის დეტალის მოხსნა კედლიდან და შემდეგ მისი მოთავსება წინასწარ გამზადებულ სპეციალურ ჩარჩოში. ასევე, ავუსხენით, როგორ მზადდება კვერცხის გულის ძმრიანი წყალსხნარი, რომელიც პიგმენტების გასასხნელად გამოიყენება.

შეხვედრა მიმდინარეობდა თბილ გარემოში, სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ზემოთ აღნიშნული პროცესებისადმი.

**მონუმენტური ხატნერის
რესტავრაციის სპეციალისტი III
კურსის სტუდენტი
საბა წონორია**

საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე

13 და 14 მაისს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის სახელობის უნივერსიტეტში, საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია გაიმართა, რომელიც მიეძღვნა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებიდან 1700-ე წლის იუბილეს.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ საღვთისმეტყველო სკოლების წარმომადგენლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ შორის ვიყავით ჩვენც – თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მესამეკურსელები: გაბრიელ ნავროზაშვილი – მოხსენებით „იესო ქრისტეს შობის ჟამს გამოჩენილი ვარსკვლავის შესახებ საეკლესიო სწავლება“, დავით ღირსიშვილი – მოხსენებით „წმინდანი ქალების დამსახურება საქართველოს სულიერ და კულტურულ განვითარებაში“ და მეორეკურსელი გიორგი დონდუაშვილი მოხსენებით – „წმინდა გრიგოლ ხანცთელის ღვაწლი და მისი ეპოქა“.

კონფერენციის მონაწილენი დაინტერესდნენ ჩვენი მოხსენებებით, რომლებიც ინგლისურ ენაზე წარვადგინეთ. სხდომის ბოლოს ჩვენმა ხელმძღვანელმა, მღვდელმა გიორგი ვაშალომიძემ დამსწრეთ გააცნო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ისტორია და დღევანდლობა.

**გაბრიელ ნავროზაშვილი,
სასულიერო სემინარიის III
კურსის სტუდენტი**



ვულოცავთ

31 მაისს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ძველი ქართული ლიტ-

ერატურის ისტორიის პედაგოგმა ხათუნა ნიშნაიძემ სოხუმის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის საბ-დისერტაციო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე – „დროისა და სივრცის მხატვრული აღქმა დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“.

ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი ნესტან სულავა, თანახელმძღვანელი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მირანდა თოდუა.

საკავალიფიკაციო ნაშრომმა სადისერტაციო საბჭოს წევრთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და ხათუნა ნიშნაიძეს მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

**თბილისის სასულიერო
აკადემია და სემინარია ულოცავს ქალბატონ ხათუნა ნიშნაიძეს ამ მნიშვნელოვან წარმატებას.**

წლიური ნამუშევრების გამოფანა ხატნარის სახელოსნოში

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხატნარის სახელოსნოში მოაწყო სახელოსნოს მონაწილეთა და კურსდამთავრებულთა წლიური საანგარიშო გამოფანა.

მკითხველებს ვთავაზობთ გამოფენის ერთ-ერთი მონაწილის მაია ბეციაშვილის წერილს.

ხატნერის შესწავლის სურვილი ბავშვობის ასაკში გამიჩნდა. თბილისის სასულიერო აკადემიაში ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ამ სურვილის ასრულების შესაძლებლობა მომეცა. ჩემი გამოუცდლობის გამო ბევრი მუშაობა მომიწია, რომ ეს დიდებული საქმე შემესწავლა. ხატნერის სახელოსნოს პედაგოგების ხელმძღვანელობით მიზანს მივაღწიე. მუშაობის და სწავლის პროცესი, მიუხედავად სირთულეებისა, უკვე დიდ სიხარულთან იყო დაკავშირებული. ხატის წერისას ადამიანი სინამდვილე მიეახლება და თუ ამას კრძალვით და რწმენით აღასრულებს, მუდმივად გრძნობს უფლის შემწეობას და იმ სიხარულს,



რაც ღვთის მადლს ახლავს. დღეს ხატნერა ჩემთვის მთავარი საქმიანობაა. უკვე მე თვითონ მყავს მონაწილეები წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში. ასევე პედაგოგიურ მუშაობას ვწვევი სამუშაო სკოლაში და სიამოვნებით ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას მონაწილეებს. სახელოსნოს კურდამთავრებულე-

ბის სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს პატრიარქს, რომლის ლოცვა-კურთხევითაც შეიქმნა და არსებობს ეს სახელოსნო, თბილისის სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელობას და ჩვენს პედაგოგს მაკა ჩხაიძეს ამ შესაძლებლობისთვის.

მაია ბეციაშვილი

გაზეთის ივნისის ნომერი მოამზადეს გივი შაჟილაძემ, სალომე გოგინაშვილმა და დეკანოზმა იონა ბარკალაიამ
დამკაბადონებელი - შორენა ჯარაშვილი
დაიბეჭდა შპს „მერიდიანის“ სტამბაში.